# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 154. ხუთშაბათი, 25 სექტემბერი 1903 წ. გაზეთის № 2274.



ივ. ევდ. გამყრელიძე
საპედაგოგიო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის გამო.



მ. დ. ელჩუკოვი
საპედაგოგიო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის გამო.

* * *

ნუ შეკრთები, ჩემო კარგო,
ნუ მოღრუბლავ ლამაზ სახეს,
ნუ მომაპყრობ შავსა თვალებს,
წყენითა და ცრემლით სავსეს,—

თუ ხან და ხან ჩემი ჩანგი
მდუღარ ცრემლით დამისველდეს,
მასი ხმები, ბოღმით სავსე,
ამითრთოლდეს, ამიკვნესდეს.

რა ვქნა... განა ცრემლი მწყურის?
არ მსურს განა მეც ვილხინო?
მაგრამ თუ რომ სევდა მქენჯნის,
ძალად როგორ გავიღიმო?

ეს სევდაა მოძმეთ სევდა,
სევდა კრული, სევდა მწარი,
ქვეყნად ტანჯვის დამნერგავი,
ცრემლის გუბეთ ჩამომდგარი;

ვინც ცხოვრების ბურჯი არის,
პატიოსან ოფლის მღვრელი,
მისთვის იმავ ცხოვრებისა
დედინაცვლად გარდამქნელი.

და ესა მწვავს, ესა მდაგავს,
ეს მიწყლულებს სულს და გულსა,
ეს არის რომ ჩანგს მიკვნესებს,
არ იკარებს სიხარულსა.

მაგრამ, ტურფავ, ეგე ცრემლი
შიში, ძრწოლა ხომ არ არი,
ხომ არ ჰკვნესის ჩემი ჩანგი
ვით ბრძოლიდან გაქცეული,

და თუ ჰკვნესის, ის კვნესაა
მომავლის გამომხმობი,
სევდა-ტანჯვის მკაცრი მტერი,
ცრემლის გუბეს ამომშრობი.

ბნელით პყრობილ მიდამოში
ტალკვესია ცეცხლის მფრქვევი,
ყველა ტანჯულთ, ყველა მკვნესართ
ბრძოლის ველზე გამომწვევი.

მაშ, ნუ, ტურფავ, ნუ მოიწყენ,
ნუ მოღრუბლავ ლამაზ სახეს—
თუ ხან-და-ხან ჩემა ჩანგი
ხალვლიანად შემოსძახებს!.

გ. გოგოლაძე.

# აცივდა

(თარგმანი)

ვიდრე მარტო შიმშილი აწუხებდა, ასე თუ ისე ბედს ურიგდებოდა. მშიერი, უბინაო, დაფლეთილ-დაგლეჯილი, მუდამ სამუშაოს მძებნელი იმედს მაინც არა ჰკარგავდა: თუ დღეს ვერ ვიშოვნი სამუშაოს, ხვალ უეჭველად ვიშოვნი, თუ დღეს მშიერი ვარ, ხვალ სადმე აღმომიჩნდება საჭმელიო. ასე ანუგეშებდა უბედური კაცი თავის თავს. მაგრამ დრო გადიოდა და საჭმელს-კი ვერა შოობდა. ამასობაში სიცივეც თავს დაატყდა.

— არა, სჩანს ბედმა მიმუხთლა.—ჰფიქრობდა.—შიმშილს, როგორც იყო, ვუძლებდი, ხანდისხან გამხმარ პურის ქერქს ძაღლსავით ვინმე მაინც გადმომიგდებდა. აბა, ამ სიცივეში რავქნა და სად წავიდე... მხოლოდ ესღა დამრჩენია, სადმე გადმოფარებულ აივან ქვეშ შევწვე და ჩემს აღსასრულს ველოდო.



დღეობა კობენის მონასტრისა



დღეობა კობენის მონასტრისა

უცბად.... სატუსაღოზედ გაიფიქრა და ამიერიდან ეს ფიქრი დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდა. მთელი იმისი არსება ამ ახალმა აზრმა შეიპყრო.

თითქო რაღაც საიდუმლო ხმა ჩუმად ჩასჩურჩულებდა: „სატუსაღოში თბილა, გაჭმევენ, გასმევენ. დროებით შესწყდეს თავისუფლება. ვიდრე ცივა, ვიდრე გაზაფხულის მზის სხივები ცასა და ქვეყანას გაათბობენ, იქა სჯობიან, იქ, სატუსაღოში“.

რა გზით მიაღწიოს იქამდის? როგორ შევიდეს იმ ბედნიერებთან? მართალია, ტუსაღი თავისუფლებას მოკლებულია, მძიმე უღელსა სწევს, მაგრამ ხომ არა ჰშიან?

ბოროტ საშუალებით შევიდეს სატუსაღოში? შეუძლებელია, მოიპაროს რამე, გაძარცოს ვინმე, მოჰკლას? არა, მეტად სამძიმოა, ხელები დაუდუნდება ამ გვარ ბოროტ-მოქმედებისათვის. მართალია, ძალიანა ჰსურს იქ შესვლა, დიდად დაჰნატრის ტუსაღების ბედს, მაგრამ...

მაშ რა გზას დაადგეს, რა ღონე იღონოს?

„ერთი საშუალებაღა დამრჩენია, გაიფიქრა: როგორმე უნდა ვიეშმაკო, ვისიმე ავაზაკობა გადვიბრალო... აი, თუნდ ეხლა ხან მკვდარი დედაკაცი რომ იპოვნეს ქალაქის ახლო... ამბობენ, მკვლელი, ყმაწვილი ბიჭი, კიდეც გამოტყდაო. მაგრამ არაფერია, არ მოვეშვები, ვიტყვი, მე მოვკალ მეთქი და მაშინ უსათუოდ დამიჭერენ... ვნახოთ“.

წავიდა დაიმედებული და აღფრთოვანებული, და გამოეცხადა პოლიციის მორიგ მოხელეს.

— შენ რა გინდა?—ჰკითხა მორიგმა მოხელემ.

— გთხოვთ, დამატუსაღოთ... მე მკვლელი ვარ... ბატირსკის შეშის საწყობ მოედანთან მკვდარი დედაკაცი რომ იპოვნეთ, მე მოვკალი. აქამდის მარტო ღვთის წინაშე ვაღვიარე დანაშაული და არავისთვის არ მინდოდა ჩემი ცოდვა გამეზიარებინა, მაგრამ სინიდისის ქეჯნას ვეღარ გაუძელ, მეტადრე მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ სხვა ვიღაც ყმაწვილი გამომტყდარა. ვეღარ ვიტან ტანჯვას... არ მინდა უმანკო ადამიანი ვიმსხვერპლო, გთხოვთ, დამიჭიროთ, ნამდვილი მკვლელი მე ვარ...

გულის წადილი შეუსრულდა. მშიერმა, გაყინულმა და უბინაომ ძლივს ყველაფერი იშოვნა: ბინა, ტანისამოსი და საჭმელი... უბედური გამოცოცხლდა სულითა და ხორცით. სჯობს დაკეტილში იჯდეს, სჯობს ავაზაკად ჰრიცხამდნენ, სჯობს ტუსაღად ითვლებოდეს: ადამიანური ცხოვრება მაინცა აქვს და არა ძაღლისა. მაძღარია და გამთბარი, თუმცა კი ტუსაღად ითვლება.

სამწუხაროდ, სანატრელი დღე ხან მოკლე იყო. დედაკაცის ნამდვილი მკვლელი თავისას გაიძახოდა. გამოკვლევამ და გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მოგონილ მკვლელის ჩვენება არაფერს არ ეთანხმებოდა. ტუსაღმა განაცხადა, რომ მე და მოკლული ქალი მკვლელობის დღეს ამა და ამ დუქანში ვიყავითო. იმ დღეს დუქანში მყოფთ-კი სთქვეს, რომ ეგ კაცი და ქალი დუქანში არ გვინახავსო. ამბობდა კიდევ, საღამოს 10 საათზედ მოვკალიო, ნამდვილად-კი დედაკაცი ბევრად უფრო ადრე იყო მოკლული. ბევრნაირად გამოჰკითხეს, მაგრამ არც ერთის საბუთით არა მტკიცდებოდა, რომ მკვლელი ის იყო.

— მე ვარ მკლელი, შემიბრალეთ, სხვა არავინ არის ჩემს მეტი! — გაიძახოდა ერთთავად, შეშინებული იმით, რომ მალე სატუსაღოდან გააგდებდნენ.—თქვენ რაც გინდათ ისა სთქვით, ის დედაკაცი კი ნამდვილად მე მოვკალ...

— არა, შენ არ მოგიკლავს!— ეუბნებოდნენ.

იმდენი ელაპარაკნენ და ეჩიჩინნენ, რომ უბედურმა ვეღარ შესძლო და თავისი თავ-გადასავალი დაწვრილებით უამბო:

— შევწუხდი, დავიტანჯე. ძალიან აცივდა, ტანთ არაფერი მეცვა, საჭმელი არა მქონდა და ბინა. რამდენი ვიარე, ვის

არ ვეხვეწე, მაინც სამუშაო ვერსად ვერ ვიშოვნე... არა სულდგმულმა არ გამიკითხა, ვეთრიე, ვეთრიე და ბოლოს გადავწყვიტე, მოდი და ვისმე ავაზაკობას გადვიბრალებ მეთქი, ეგება ცივ ზამთარში სატუსაღოში როგორმე თავი შევაფარო, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, აქაც ბედმა მიმუხთლა...

კვლავინდებურად უსაქმოდ და ტიტველ-შიშველი ცის ქვეშ დარჩა. სატუსაღოში სითბოსა და ჭამა-სმას შეჩვეული უფრო უმეტესად შემოაწვა გულზედ ლოდი. ყოველ ჟამს მოელოდა, რომ ან სიცივე და ან შიმშილი ბოლოს მომიღებსო.

უწინდელებრ, შეჰნატროდა იმ ბედნიერთ, რომელთაც უფლება ჰქონდათ სატუსაღოში ყოფნისა. ბევრის ტანჯვის შემდეგ სხვა გზას დაადგა. ეხლა კი სხვა და სხვა ცუდმა ფიქრებმა გაუელვა... ადამიანი შუა ზამთარში, შიშველ-ტიტველი, სატუსაღოდან გამოგდებული, მშიერი ქუჩაში დარჩა. ეხლაკი, ჩემო მკითხველო, პატიოსანს სიტყვას ვერ მოგცემ, რომ ცოტა ხანს შემდეგ იმავე სატუსაღოში ნამდვილ ავაზაკად არ დაბრუნდეს.

**მარიამ დემურია.**

**კობენის მონასტერი, კოჯრის მახლობლად, (8 ვერსია)**



შიგნიდან



შესასვლელი კარი.



გარედან.

# სიყვარული

**ევალდისა**

გრეტა ხუთის წლისაა, საქმრო ჰყავს კიდეც. ეს საქმრო მრეცხავის შვილია, ოთხის წლისაა, სახელად გეორგ. ცხვირი მუდამ არა აქვს მშრალი, მაგრამ გრეტასაც ზევითი ტუჩი ყოველთვის მშრალი არა აქვს, ასე რომ ერთმანეთს არაფერში ჩამოუვარდებიან.

გრეტას საქმრო ამოჰყავს ხოლმე ზემო სართულში და აქ ფანჯარასთან მუსაიფობენ. გრეტა უჩვენებს სურათებს წიგნში, რომელიც იმის ძვირფასს საკუთრებას შეადგენს.

მოჰბეზრდა გეორგს სურათების სინჯვა და სთქვა, სახლში უნდა წავიდეო. გრეტა ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობს, მოჰხიბლოს საქმრო, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ რჩება. გეორგს ამ წუთასვე უნდა შინ წასვლა. გრეტამ ღრიალით შემოირბინა ჩემს ოთახში:

— მამავ, გეორგ ხომ ჩემი საქმროა? განა ნება აქვს მომშორდეს?

— ჰო, მართალია, ნება არა აქვს, მაგრამ...

— მამავ, გეორგს არ უნდა აქ დარჩენა... ქვემოდ მიდის, სახლში.

გრეტამ უმატა ტირილს. კალთაში ჩავისვი და ვუთხარ:

— ცუდად იქცევი, გრეტავ. მამაკაცნი სულ სხვა ხასიათისანი არიან. ქალი რომ სთხოვს მამაკაცს, დარჩიო, ის წასვლას მოინდომებს, როცა სახლიდან დაითხოვს, მაშინ კიდევ დარჩენა უნდა. წადი გეორგთან და ასე უთხარ: „გასწი, დამეკარგე, სულელო, მე სხვა საქმრო მეყოლება“-თქო, და მაშინ ჰნახავ...

პაწია გონიერი დედაკაცია ჩემი გრეტა. პირდაპირ შეუდგა საქმეს და როგორც ვურჩიე, ისე მოიქცა.

— დამეკარგე აქედან, ბრიყვო! — გაუწყრა გეორგს. — მამა დამპირდა, სხვა საქმროს მოგიყვანო.

გეორგ სახტად დარჩა. მაშინვე ვერ მიჰხვდა, რა უთხრა გრეტამ. გრეტამ წაათრია დერეფანში, გაუღო კარი და კინწის კვრით გაისტუმრა. მერე მოვიდა ჩემთან, მომკიდა ხელი და მკითხა:

— მამავ, დაბრუნდება კი გეორგ?

მეორე ოთახში გავიყვანე. აქედან დავინახე გეორგ. კარებთან ატუზულიყო, პირში თითები ჩაეყო და მოსტიროდა: „გრეტა... გრეტა!..“

გრეტას შევხედე და ვერ შევამჩნიე ის სიამოვნება, რომელსაც მოველოდი.

— მამავ, — მითხრა გრეტამ, — მე გეორგი აღარ მინდა, მე ის მინდა, „სხვა“, შენ რომ დამპირდი...

თვალებში შევამჩნიე გრეტას ისეთი გამომეტყველება, რომლის აღწერაც არ შემიძლიან. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს გამომეტყველება ერთი და იგივე აქვს დედაკაცს 5 წლიდან 40 წლამდე.

ა. ნ.

## მონადირის ამბები



ბოლოს სიცილისაგან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან



ქმარი. მე ეჭვიანი არა ვარ, მაგრამ მაინც არ არის მოსაწონი შენი საქციელი: მთელი საღამო იმ უმაწვილ კაცს ეკურკურებოდი.

ცოლი. რა არის, რომ ვეკურკურებოდი? დამპირდა, შეგირთავო, როცა შენი ბებერი ქმარი მოკვდებაო.



— რაც შეეხება გეოგრაფიის ცოდნას, უძლეველია. თუ თქვენ ხუთი წუთი გაქვთ თავისუფალი, ყური დაუგდეთ, ამ უბნის ყველა ქუჩას დაგისახელებთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 24 сентября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.